ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9723335001
თარიღი:01/12/2023

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა N-11

დ. ლენტეხი. 28 ნოემბერი.2023წ

მიმდინარე წლის 28 ნოემბერს ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. ბიუროს სხდომას ესწრებოდა ბიუროს 11 (თერთმეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა 6(ექვსი) წევრი. ბიუროს სხდომას ესწრებოდა საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) ხელმძღვანელი მაყვალა ჩახქსელიანი.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიებმა ჩაატარეს სხდომები, მოამზადეს საკითხები და შემოსულია მათი მომართვები აღნიშნული საკითხების სხდომაზე გატანის მიზნით. შესაბამისად მომზადდა საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1.ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხს. მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/;

/თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა/

2. კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის ლენტეხის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის (Lentekhi Local Action Group) დაფუძნებაში მონაწილეობისა და მასში გაწევრიანების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხს. მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/;

/თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა თავმჯდომარე დალი ტვილდიანი./

3. ,,მდინარე ლასკადურაზე მჟავე წყლის ხიდის და ნაპირსამაგრი კედლების მოწყობა-რეაბილიტაციის პროექტის მოწონების თაობაზე“.

/მომხს. მერის მოადგილე ზვიადი ლობჟანიძე/

/თანამომხსენებელი. საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი/

4. ,,სოფელ სასაში ნაკიჩხულაშის უბანში გზის რეაბილიტაციის მოწყობის პროექტის მოწონების თაობაზე“.

/მომხს. მერის მოადგილე ზვიადი ლობჟანიძე/

/თანამომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის

კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი/

5. ,,სოფელ რცხუმელურში სანიაღვრე არხის მოწყობის პროექტის მოწონების თაობაზე“.

/მომხს. მერის მოადგილე ზვიადი ლობჟანიძე/

/თანამომხსენებელი:. საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი/

6. სოფ. კახურაში სასოფლო გზის ბეტონის საფარით მოწყობის პროექტის მოწონების თაობაზე.

/მომხს. მერის მოადგილე ზვიადი ლობჟანიძე/

/თანამომხსენებელი:. საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი/

7. სიმსივნით დაავადებული სოფ. ლექსურაში მცხოვრები ნანა მეშველიანისთვის დახმარების გაწევის თაობაზე.

/მომხს. საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ონიანი/

8. სხვადასხვა.

მორიგი სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-6 საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ სოსო ავალიანმა აღნიშნა, რომ კომისიის წევრებმა არ მიიჩნიეს ეს საკითხი სხდომაზე გასატანად , რადგანაც ამ ეტაპზე უფრო აქტუალურია სოფ. გულიდის გზის გაკეთება. გამომდინარე იქედან, რომ სოფელში არის 50 ოჯახი, ბავშვები დადიან ბაგაში და სკოლაში და აქვთ ძალიან ცუდი გზა. სოფ. კახურაში ფაქტიურად არ 6(ექვსი) ოჯახი და შეიძლება ამ ეტაპზე ამ გზის მოხრეშვა.

აზრი გამოთქვა: დაბის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი ქურასბედიანმა, რომ წლებია დღის წესრიგში დგას სოფ. გულიდის მოსახლეობისთვის გზის გაკეთება, ეს პროექტი გათვლილია 2023 წლის სამოქმედო გეგმაში და მიუხედავად ამისა მაინც არ გაკეთდა და ამ საკითხის ფონზე შემოდის სოფ. კახურის პროექტი. რა თქმა უნდა ეს საკითხი არის მისთვის მიუღებელი და არ დაუჭერს ამ საკითხს მხარს.

ანალოგიური აზრი დააფიქსირეს ბიუროს წევრებმა მევლუდ ლიპარტელიანმა და ამირან ქურასბედიანმა.

ღია კენჭისყრის შედეგით მომხრე -11

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: საკითხი - სოფ. კახურაში სასოფლო გზის ბეტონის საფარით მოწყობის პროექტის მოწონების თაობაზე ამოღებული იქნას მორიგი სხდომის დღის წესრიგიდან.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1.ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხს. მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/;

/თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა/

2. კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის ლენტეხის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის (Lentekhi Local Action Group) დაფუძნებაში მონაწილეობისა და მასში გაწევრიანების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხს. მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/;

/თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა თავმჯდომარე დალი ტვილდიანი./

3. ,,მდინარე ლასკადურაზე მჟავე წყლის ხიდის და ნაპირსამაგრი კედლების მოწყობა-რეაბილიტაციის პროექტის მოწონების თაობაზე“.

/მომხს. მერის მოადგილე ზვიადი ლობჟანიძე/

/თანამომხსენებელი. საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი/

4. ,,სოფელ სასაში ნაკიჩხულაშის უბანში გზის რეაბილიტაციის მოწყობის პროექტის მოწონების თაობაზე“.

/მომხს. მერის მოადგილე ზვიადი ლობჟანიძე/

/თანამომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი/

5. ,,სოფელ რცხუმელურში სანიაღვრე არხის მოწყობის პროექტის მოწონების თაობაზე“.

/მომხს. მერის მოადგილე ზვიადი ლობჟანიძე/

/თანამომხსენებელი:. საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი/

6. სიმსივნით დაავადებული სოფ. ლექსურაში მცხოვრები ნანა მეშველიანისთვის დახმარების გაწევის თაობაზე.

/მომხს. საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ონიანი/

7. სხვადასხვა.

ბიუროს სხდომა დამთავრდა 14 საათზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი